

საბარჯულოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №7(237) 2021 წ. 1-15 აპრილი ფასი 1 ლარი

გადლობა თავისუფლებისათვის

საბარჯულოს მუნიციპალიტეტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოს მე-2 მდივანი თემურლან თაბიბი და მისი მრჩეველი ულარ ბაირამოვი, მუნიციპალიტეტის მერ ბიორბი ეროვონავშილთან და მის მოადგილე ალექსი ბილაშვილთან ერთად სოფელ იორმულანდოს ესტუმრნენ, 9 აპრილისა და 20 იანვრის გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკეს და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

9 აპრილისა და 20 იანვრის გმირთა მემორიალს სიმბოლური დატვირთვა აქვს, ორივე ქვეყნის მთლიანობისთვისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეების ტრაგიკულ ისტორიას უკავშირდება. გმირებს, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი არიან.

1990 წლის 20 იანვარი, როგორც შავი იანვარი ასე შევიდა ბაქოს ისტორიაში. 130 მშვიდობიანი დემონსტრანტი შეეწირა მიტინგის დარბევას. ამ გმირთა საპატივსაცემოდ, 1991 წელს, ცნობილმა კერამიკოსმა - ზაჰიდ ჰუსეინოვმა სოფელ იორმულანდოში - ქართველ და აზერბაიჯანელ გმირთა ერთიანი მემორიალი შექმნა თავისუფლებისთვის მებრძოლთა სიმბოლოდ.

სტუმრებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, 1989 წლის 9 აპრილი და 1990 წლის 20 იანვარი კიდევ ერთხელ გაიხსენეს, სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირებს ქედი მოუხარეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.



9 აპრილი – ეროვნული დღესასწაული



1989 წლის 9 აპრილიდან 32 წელი გავიდა. ეს დღე დიდ ტკივილად იქცა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს - ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ალექსი გილაშვილმა საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლ "იმედის" წევრებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი თაიგულებით შეამკო და მოსწავლეებს დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე, თავგანწირული გმირების ღვაწლსა და პატრიოტიზმზე ესაუბრა.

32 წლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასობით ადამიანი მოიწამლა. მშვიდობიანი მომიტინგეები საბჭოთა კავშირიდან გამოსვლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ. ქართველმა ხალხმა 9 აპრილი ეროვნულ დღესასწაულად და ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა.

უხვედრა დიალოგის რეჟიმში

საბარჯულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გურჯაანის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარმა დეპუტატმა – ღაზით სონღულაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის პირველმა პირებმა ადგილობრივ ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა, რომელსაც 50-მდე ადგილობრივი ესწრებოდა. არსებული საჭიროებები - ძირითადად ენობრივ ბარიერს, მიწის რეგისტრაციის საკითხსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ეხებოდა. ბატონმა დავით სონღულაშვილმა პრობლემების გადაჭრის გზებზე იმსჯელა და ახალგაზრდებს მუდმივი კოორდინაციის პირობა მისცა.



მედიო პრატიკაში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრეს-სპიკერი

მუნიციპალური გვერდი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის 13 აპრილის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის მერი ბიორბი მარტოშვილი უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ მერიის მოადგილეები **ლემსო ბილაშვილი** და **ბიორბი ლალიაშვილი**, მერიის მრჩეველი ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის ხაზით **ბონა ბითაძე**, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ანუპი ნარიშვილი**, ამავე სამსახურის მერიის წარმომადგენლებთან მუშაობის განყოფილების გამგე **ვანო ზანთაძე**, ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ბიორბი შარვაშიანი**, მერიის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, შპს „საგარეჯოს“ დირექტორი **თამაზ კუპაშვილი**.

თათბირის დასაწყისში გიორგი ერბოჭანაშვილმა თათბირის მონაწილეთ ახლადდანიშნული მერიის წარმომადგენლები სოფელ **კაკაბეთში – ვეზია ნანუაშვილი**, სოფელ **შიბლიანში ბესიკ ბელიძე**, **ყანდაურის** თემში – **ვალერი ცანკაშვილი** წარუდგინა.

თათბირზე ცალკეულ სოფლებსა და მთლიანად თემებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს მერიის წარმომადგენლებმა. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებიდან გაირკვა, რომ თითქმის ყველა სოფელში პრობლემას კვლავ სასმელი წყლის დეფიციტი წარმოადგენს, რაც წლის ამ დროისათვის ბუნებაში წყლის დეპეტის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული. ასევე, მოხრეშვას და მოწესრიგებას მოითხოვს მთელი რიგი სოფლების საუნბო გზები, ქუჩები, ამოცვლას საჭიროებს სასმელი წყლის მაგისტრალების მონაკვეთები, გასასუფთავებელია წყალსაწკრეტი არხები.

თათბირზე დაისახა პრობლემების მოგვარების გზები, შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს დაევალოთ კონკრეტული საკითხის მოგვარება.



სოფელ ბიორბიშვილში კომფორტული გზა კეთდება

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილე ლემსო ბილაშვილმა,

სოფელ გიორგიშინდაში, შიდა საუნბო გზის მოასფალტების სამუშაოები ადგილზე მოინახულა.

სამუშაო და საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის წევრებს გაესაუბრა და შესაბამისი რეკომენდაციები გააცნო.

უახლოეს დღეებში, ადგილობრივი მაცხოვრებლები ახალი, კომფორტული გზით ისარგებლებენ.

შეგახსენებთ, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს და სამუშაოების პროცესის შესახებ ინფორმაციას ეტაპობრივად გაეცნობთ.



სოფელ ყანდაურის მოსახლეობა მნიშვნელოვან პროექტს გაეცნო

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურაში მიწის სისტემური რეგისტრაციის საკადასტრო სამუშაოები იწყება. მოსახლეობის ინფორმირებისა და საველე სამუშაოებში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა საინფორმაციო აქცია მოაწვეეს.

საჯარო რეგისტრის თანამშრომლები, ახალი რეგულაციების დაცვით, სოფელ ყანდაურის მოსახლეობას კარდაკარ შემოვლის პრინციპით შეხვდნენ, მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია გააცნეს და საინფორმაციო ბუკლეტები გადასცეს.

სოფელი ყანდაურა ერთ-ერთია იმ 28 ადმინისტრაციული ერთეულიდან, სადაც საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტს ახორციელებს. „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის ფარგლებში, მიწის ნაკვეთები სისტემური წესით დარეგისტრირდება კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტის იმ 28 ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც სარწყავი არხების მშენებლობა და რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა პროცედურას, მათ შორის, საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზების მომზადებას, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება-ანალიზსა და ნაკვეთების რეგისტრაციას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო მოსახლეობისთვის უსახყიდლოდ ახორციელებს.



სოფელ თოხლიაურში

მდგრადი გზა კეთდება

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილე ლემსო ბილაშვილმა, სოფელ თოხლიაურში, შიდა ცენტრალური გზის მოწყობის სამუშაოები ადგილზე მოინახულა.

პროექტის ღირებულება 296 249 ლარია. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გარდაბნის საგზაო სამმართველო“ ასრულებს.

ამ ეტაპზე, სანიღვრე არხებისთვის ბეტონის კონტრუქციის მოწყობა მიმდინარეობს. გზის მოწყობის სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმდინარე წლის მაისის თვეში დასრულდება.



მედიკ ვარაძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პრეს-სპიკერი

მასწავლებელი ნანა ქაიხოსროშვილი:

„ახლა, ამ გადმოსახედიდან:

მთავარია –

გიყვარდეთ ერთმანეთი, პატივი ეცით ერთმანეთს“

რატომ და როდის ტირის მასწავლებელი?!



ნანა ქაიხოსროშვილი, მასწავლებელი და მასწავლებლის პირველი შეხვედრა საგარეო II საშუალო სკოლაში შედგა. პირველი შთაბეჭდილება?!

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა და მით უფრო საინტერესო იყო ჩვენი უცხო ენის მასწავლებელი ნანა ქაიხოსროშვილი, მეტ მოკრძალებას ვგრძნობდით თავად მოკრძალებული და გაწონასწორებული მასწავლებლის წინაშე – არასოდეს აუმაღლებდა ხმას, ჩვენთვის ჯილდო მისი ერთი გადმომხატვა კი იყო. და იღიმებოდა, როცა ჩვენ და მართლაც, ყველა, ყველა კარგად ვპასუხობდით დასმულ კითხვებს.

წლები გავიდა ... ნანა მასწავლებლის შვილები – ვანო და დათო იფანიშვილები ჩვენთვის საგარეო ენების საამაყო პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. ვანიკო წლების მანძილზე რაიონის გამგებობის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი იყო, ამჟამად, ხალხის რჩეული, ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. დათოს ერთხანს საგარეო ენების მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კი როგორც შემოქმედს, მხატვარსა და ხატმწერს, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრს, მალევე საერთაშორისო კულტურ-

ისა და ხელოვნების აკადემიის წევრს, იცნობენ არა მარტო საქართველოში, ამერიკაში, იტალიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, მალტაში, პორტუგალიაში, რუსეთში, აზერბაიჯანში, გერმანიაში.

ვანიკოს მეუღლე – შორენა ლევაშვილი და დათოს მეუღლე – ნინო როსტიაშვილი უცხო ენის სპეციალისტები – პედაგოგები არიან. ვანიკოს უმცროსი გოგონა – მაგდა ტელეკონკურს „ეოისის“ ძლიერ კონკურსანტებთან პაექრობს.

ჩვენი ნანა მასწავლებელს ვთხოვეთ მოეთხრო თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ, რომელიც გაჯერებული იყო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით, ადამიანებისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და მომავალ თაობაზე გულწრფელი ზრუნვით.

– დაგვთავაზებთ საგარეო I საშუალო სკოლა. უზომოდ მიყვარდა ჩემი სკოლა, მეგობრები და მასწავლებლები. დედანაც ამ სკოლის პირველი მელალოსანი იყო. მიხაროდა, როცა მის ქებას ვისმენდი მისი ყოფილი მასწავლებლისაგან, რომლებმაც ჩემშიც წარუშლელი კვალი დატოვეს.

არ დამეჩვენებოდა ჩემი საყვარელი მასწავლებლები, მაგრამ ზოგი აღარ მახსოვს და გული



მწყდება. არ დამეჩვენებოდა ჩემი უსაყვარლესი მასწავლებლები ბეჯითობიდან და ზარმაცებიც, წყნარებიც და ცელქებიც.

ისე, სკოლაში მუშაობაზე არასოდეს მიფიქრია, ბაღის მასწავლებლობა მინდოდა. ბავშვები მიყვარს ძალიან, მაგრამ სიმღერის სიყვარულმა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მიმიყვანა. მისი სასწრაფო ანსამბლი ცნობილი იყო არა მარტო საქართველოში.

მერი გოდერძიშვილი, როზა დავითაძე, კლასის ხელმძღვანელი იოსებ ჯაბაძარი, რომელიც ხშირად გვიკითხავდა საკუთარ, არაჩვეულებრივ ლექსებს.

კლასი მართლაც სანიმუშო გვექონდა. დიდმა ნაწილმა თავისი სიტყვა თქვა რაიონში. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საგარეო I საშუალო სკოლაში. არ დამეჩვენებოდა ჩემი პირველი გაკვეთილი – X კლასში გატარებული გაკვეთილი. ნასწავლად უცხო ბიჭმა რამდენჯერმე შემოგვიღო კარები და თან ბოდიშს იხდოდა. როგორც შემდეგ გაიჭრა, გოგონა მოსწონდა და იმას ეძებდა. ერთ-ერთი მოსწავლე გოდერძიშვილი ადგა და უნებართვოდ გავიდა გარეთ, იმის სათქმელად, რომ აღარ შემოვიყო კარები. მე „არა“ ჩავეწერე – რატომ ჩამიწერე არაო, შემეკითხა, ვუპასუხე, – დაუკითხავად გახვედი-მეთქი – მე ხომ თქვენი გულისთვის ვაგვიღო. ადგა და გავიდა გარეთ, დატოვა კლასი. მე შემეცხვება, თან შემეცოდება, რომ გაწვენივს და ტირილი დაიწყო. დღესაც მრცხვენია იმ ბიჭის.

მიყვარდა და დღესაც მიყვარს ჩემი ნამოწაფარები, მაგრამ ზოგი აღარ მახსოვს და გული

ხარება ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია ქრისტიანულ ეკლესიაში. უძრავი დღესასწაული ძველი სტილით 25 მარტს აღინიშნება, ახალი სტილით კი – 7 აპრილს.

ხარება სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ქალწულ მარიამს, რომ ის შობდა მესიას, იესო ქრისტეს.

რამდენადაც ხარება დაკავშირებულია ქრისტეს დაბადებასთან, ამდენად, ის არის კაცობრიობის ხსნის დასაბამი.

ძველი აღთქმის კაცობრიობა ელოდებოდა მესიის გამოჩენას სწორედ იმ პერიოდისათვის, როდესაც ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე განკაცდა.

უამრავი წინასწარმეტყველება იყო ძველ აღთქმაში. ალბათ, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ისაიას წინასწარმეტყველება, რომ ქალწულისაგან იშვებოდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე არა ბუნებრივი გზით, არამედ სულიწმიდის მადლით.

ყოველდღე მადლიანად ღვთისმშობელი ტაძარში იხრდებოდა და მისი ცხოვრება ღოცებით, მარხვითა და კეთილი საქმით იყო გაჯერებული. ის ყოველთვის ნატრობდა, ღმერთს მიემადლებინა მისთვის იმ ქალწულის მსახურება, რომელიც შობდა მაცხოვარ იესო ქრისტეს. აი, ასეთი თავმდაბლური თხოვნა ჰქონდა მას ღვთის მიმართ.

გაბრიელ მთავარანგელოზის ხარება, რომ ის იქნებოდა ქალწული, რომელიც შობდა მესიას, წმიდა მარიამისათვის გასაოცარი იყო. გასაოცარი არა იმიტომ, რომ ანგელოზი იხილა. ჯერ კიდევ ტაძარში მსახურების დროს ხშირად მოდიოდა მასთან ანგელოზი, რომელთანაც სულიერ კავშირში იყო. მაგრამ

მართლმადიდებლობა

სარკობა

ღვთისმშობელს აკვირებდა მეორე რამ: როგორ შეიძლებოდა ეს მასში მომხდარიყო, როგორც ქალწულში? და როდესაც ანგელოზმა უთხრა, რომ ეს სულიწმიდისგან იქნებოდა, მაშინ მარიამმა მიუგო: „აჰ, მხეველი ღვთისა, იესო ნება ღვთისა ჩემზედა“.

ქალწული მარიამი მიდის თავის ნათესავებთან – ელისაბედიან და ზაქარიასთან, წმიდა იოანე წინასწარმეტყველის მშობლებთან, რადგან სურს, გაუზიაროს თავისი შინაგანი, სულიერი ხედვა და დამოკიდებულება. როდესაც ელისაბედი შეხვდა მას, პირდაპირ ეუბნება: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“.

აქ არის კიდევ ერთი გარემოება გასათვალისწინებელი. იოსები იყო დაწინდებული ყოველდღე ღვთისმშობელს და არა – დაქორწინებული. იოსები ასაკოვანი გახლდათ.

ყოველდღე მადლიანად ღვთისმშობელს ჰქონდა აღთქმა დადებული ღვთის წინაშე, რომ არ გათხოვდებოდა და თავის ცხოვრებას ღმერთს შესწირავდა. როგორც აღთქმის დამდებ ადამიანს, უნდა შეეხრებინა სიტყვა, მაგრამ მეორე გარემოება გახლავთ ის, რომ ძველი რჯული კრძალავდა ქალწულებრივ ცხოვრებას. ქალი აუცილებლად უნდა გათხოვოდა. ამიტომ ერთიცა და მეორეც რომ დაეცვათ,

გადაწვივდეს, ქალწულებაც შეენარჩუნებინა ყოველდღე ღვთისმშობელს და დაეწინდებოდა კიდევ მოხუცებულ ადამიანზე, რომელიც ფაქტობრივად, მისთვის არა – ქმარი, არამედ მზრუნველი და პატრონი იქნებოდა.

თავდაპირველად იოსებმა არ იცოდა, რომ მარიამი სულისაგან წმიდისა იყო მიღგომილი.

ძველი სჯულის თანახმად, თუ ის გაიფიქრებდა, რომ მარიამმა უღალატა, ქალწულს ჩაქოლვის საფრთხე დაემუქმებოდა, მაგრამ იოსები დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით გამოირჩეოდა მის მიმართ, ამიტომ ფარულად მისი განტეგება განიზრახა, ვინაიდან მას ბრალი არ დასდებოდა ამ ცუდ საქმეში და ამით, პირიქით, დანაშაული თავის თავზე აიღო.

როდესაც გულთამხილაგმა ღმერთმა დაინახა ეს ყოველივე, მასაც გაუგზავნა ანგელოზი, რომელმაც აუწყა, რომ მარიამის ფეხმძიმობა სულისაგან წმიდისა იყო და არა – კაცისაგან. მთავარანგელოზმა პირდაპირ დააცხადა იოსებს, რომ ეზრუნა მასზე და მიეხედა, როგორც ამას იუწყებოდა წმიდა წერილი.

ამის შემდეგ უკვე იოსებში ყველა ეჭვი გაქარწყლდა და დაიწყო სწორი სულიერი ცხოვრება მასთან ქალაქ ნაზარეთში, მოკრძალებულ სახლში.

მე და თემურ წიკლაური ერთად შევედით ინსტიტუტში და ერთად მივიღეთ ორკესტრშიც. ნათელში იყოს მისი კეთილი სული. პატივს კარგი ადამიანი იყო და საუკეთესო მომღერალი. იმ მღეროდნენ მომღერლები, როგორებიც იყვნენ მეღაბა ძიბიგური, მანანა შარაშიძე, ვალერი ლომსაძე, ასევე კიდევ ბევრი სხვა ცნობილი, არაჩვეულებრივი მომღერალი. ჩვენი გოგონების კვარტეტი – დარბაისელი, მე და დები ახელედიანები. გამოვიდილით კონცერტებზე გვიწვევდნენ ტელევიზიაში, რადიოში და სხვადასხვა კადატებში – და ყველაზე წარმატებული გვექონია.

სანდრო მირიანაშვილმა, ჩვენმა საყვარელმა კომპოზიტორმა, აგვიყვანა მე და ჩემი და ნელი. ბევრი სიმღერა შეგვასწავლა. გამოვიდილით სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში, ტელევიზიით, მწერალთა კავშირის სახლში, კომპოზიტორთა სახლში. ყოველთვის თვითონ იყო კონცერტმეისტერი. სამი სიმღერა შეგვასწავლა – ისეთი, რომელიც ჯერ არაყის მოუხმენია. მახსოვს, მწერალთა კავშირში გამოვიდილით. ტაში რომ დასცხვს, წამოხდა ჩვენი დიდი პოეტი იოსებ ნონეშვილი და დაიბახა, თქვენ გენაცვალეთ, გოგონებო, მეც კახელი ვარ – მასახელეთო. ნათელში იყოს მისი სული.

მე და ჩემი მეუღლე, გივი იფანიშვილი ერთ კლასში ვსწავლობდით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შევექმნით ოჯახი. კარგი ოჯახი გვექონდა, ერთმანეთს პატივს ვცემდით. კარგი ადამიანი იყო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული. უზომოდ მიყვარდა ოჯახი, შვილები, შვილიშვილები. შვილებთან უფრო მომთხრონი იყო, შვილიშვილებზე გიჟდებოდა.

ვანიკო და დათო ჩემი სიამაყეები, ჩემი სიცოცხლეები არიან, არაჩვეულებრივად ყურადღებიანიები, თბილები, მოსიყვარულეები, როგორც დედის, ასევე თავისი ოჯახების მიმართ. ჩვენი მიმართვა ერთმანეთთან: დედა გენაცვალოს, – დედა, გენაცვალე! ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი ოჯახები, კარგი მეუღლეები, საუკეთესო შვილები და შვილიშვილები ჰყავთ! ვამაყობ მათით.

მიხარია დათოს ასეთი დიდი წარმატება, როგორც ჩვენთან, ასევე, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში. უზომოდ მიხარია, რომ მაგდა უკვე წარმატებულია. წარმატებები მინდა ვუსურვო მათ.

და ბოლოს, დღევანდელი გადასახედიდან, როცა ვუყურებ ჩემს განვლილ გზას, ერთ რამეში ვრწმუნდები, არაფერი არ ფასობს ისე, როგორც სიკეთე, სიყვარული, რადგან ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის, სხვისი გახარება იყო. ეს მანიჭებდა დიდ სიამოვნებას. ბევრჯერ მტკენია გული, მაგრამ სამაგიეროს გადახდაზე არასოდეს მიფიქრია.

ვილოცავთ ჩემო საყვარელო ადამიანებო სიყვარულით დღეს. გიყვარდეთ ერთმანეთი, პატივი ეცით ერთმანეთს. სხვისი ცული გწყინდეთ და სიხარული გიხაროდეთ. ეს დიდი ბედნიერებაა. ეს დრო გამოიყენეთ სიკეთის კეთებაში თქვენი უზომოდ მოყვარული

ნანა ქაიხოსროშვილი

14 აპრილი „დედა ენის“ დღეა! ქება და დიდება ქართულისა ენისა

1. დამარხულ არს ენა ქართული დღემდე
მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად.
რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს
ამით ენითა.

2. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე
პრქვან.

3. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე
დედოფალმან. ესე არიან ორნი დანი ვი-
თარცა მარიამ და მართა

4. და მეგობრობა ამისთვის თქუა [მახ-
არებელმან]. რამეთუ ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს.

5. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის
თქუა დავით წინაისწარმეტყველმან, რამე-
თუ „წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეცნ“.

6. და სახარებასა შინა ქართულსა,
ხოლო, თავსა მათვესსა წილი ზის, რომელ
ასო არს. და იტყვს ყოველად ოთხ ათასსა
მარაგსა, –

7. და ესე არს ოთხი დღეც და ოთხი-
სა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე
დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა
მამისათა.

8. და ესე ენა შემკული და კურთხეუ-
ლი სახელითა უფლისათა, მდაბალი და
დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ
მოსვლასა უფლისასა.

9. და სასწაულად ესე აქუს: ას-ოღბი
წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეცნ
მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამებ წარმოვითხარ, ას-ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისა.

იონან ზონიძე

ჭაღრაპი ორი ბრინჯაო კახეთის რეპიონუ- ლი ჩემპიონატიდან

27-28 მარტს

გურჯაანის
საჭადრაკო
კლუბში ჩატ-
არდა კახეთის
რეპიონული ჩემ-
პიონატი 12 და
18 წლამდე ასა-
კის მოჭადრაკე
ვაჟებსა და გო-
გონებს შორის.



აღსანი შნა-
ვია, რომ ეს იყო
პირველი გამოს-
ვლა დაახლოე-
ბით ერთწლიანი
კოვიდ-პანდემი-
ით გამოწვეული იშვლებითი შესვენების გამო.

ამ ხნის განმავლობაში მათ არც მეცადინეობე-
ბი უტარებდოდან, მაშინ როცა გურჯაანელები
თურმე ახერხებდნენ
რეგულაციების
დაცვით წვრთ-
ნების გაგრძელე-
ბას. ალბათ ამით
უნდა აიხსნას
გარეჯელთა არც-
თუ წარმატებულ
გამოსვლა. მართა-
ლია, ჩვენი მოჭა-
დრაკეები უფრო
დიდ ასაკში გამო-
დიდნენ, მაგრამ
მათგან მხოლოდ
უმაღლეს შედეგებს
ველოდით.



საგარეჯოელთაგან თითო ბრინჯაოს მედალი
მოიპოვეს 8 წლის მოჭადრაკეებმა (12 წლიანე-
ბი) – **შოთ ზორაშვილი და ნინო აბულაშვილი**
(მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე). მათ მედალებთან
ერთად გადაეცათ ასევე სპეციალური თასებიც.

გივი ლაბაძეშვილი

ენა ქართული

ქართული მარტო ენაა?! -
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!

ბედისწერაა!
ზღვა როა! -
იმოდენაა!

მუსრან მაჭავარიანი

გობეაშვილის „დედა ენა“ -

ეს წიგნი ერის ბურჯია! - ხარობენ მამა-პაპანი,
ხარმა თქვა: მეც შიგ ჩამდენეთ, ერის მეც გზიდე ჭაპანი.
მოფრინდა შავი მერცხალი ჭიკჭიკით, ყელმოღერებით
და წიგნში, როგორც ბუდეში, ჩაფინა იის ღერები.
პაწია წიგნი ბედ-იღბლით კიდობანს გამოემგვანა
და, რაც შიგ გადანახულა, ის გადაარჩენს ქვეყანას.
მე კი მგონია, ფრესკებზე ყრმა რომ ზის დედის კალთში,
თუ „დედა ენას“ მიუტანთ, დიდივით კრძალვით გადაშლის,
თითს გააყოლებს ასოებს:
ვაზის ღერწს,
ნამგალს,
ნიამორს, ენას ქართულად აიდგამს და იტყვის: აი, იაო.
იდიდე, წიგნო, იდიდე, ქართული სულის ლაზათო,
ღმერთი თუ არა ღმერთკაცი იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო.

შოთა ნიშნიაიძე

ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგანინა ზენამ,
სიყვარულის, ღეჰისის, სადღეგრძელოს ენაე!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა,
მეინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანდება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ დელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,
ან მოვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,
როცა ღამისმთველებს ღხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა სთვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგანინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაე!

ლალო ახათიანი

დედა ენა

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბაში ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიაგში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.
ტკბილად რომ გავგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბენავი -
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ღეჰაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული.
ამ წიგნიდან გაბრწყინდა

ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს გაშლიდა
გამოხატულს იებით.
ის ამ წიგნში უსმენდა
ნაკადულს და ტოროლებს,
საწყალ ხარის ტირილსა,
ხმასედიან ოროველს.
ხმას გაყინულ კაცისას,
სიცივით რომ კვებოდა,
მზე საწყალი კაცისა
გორას მიჰფარებოდა.
მას უყვარდა ეს წიგნი,
ჭრელი აბგის მშვენება,
მოიგონებს და შუქი
გულზე დაეშენება.
ვიგონებთ და გვახარებს,
რომ აქვს გულში ჩართული, -
ჩვენი წიგნი ღამაზი,
„დედა ენა“ ქართული!

გიორგი ლეონიძე

თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი იაკობ გობეაშვილს

შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი,
სიმღელეს გზისას არად აგდებდი.
როგორც ილიას, ვაჟას, აკაკის,
გშვენის დიდების შარავანდედი.
გულს დადარში წიგნი წრობილი
მტრის შუქს აქრობდა,
ჩვენს გულს ათობდა.
შენ ბიბლიური იაკობივით
ერკინებოდი უსამართლობას.
წიგნი კი არა, ჩვენთა მართვეთა
სიტყვა, სიმღერა ხალისიანი,
წიგნი კი არა, ფარი ქართველთა,
ამოღებულნი ხმალი ფხიანი.
წიგნი კი არა, ყრმობის ზღაპარი,
წყაროს ჩუხჩუხი, ფშვინვა იათა,
წიგნი კი არა, წმინდა ღამპარი,
შეჭიდებული ღამის წყვდიადთან...
ტოროლია, ცად რომ მიიტყორცნება,
მადლა აჭრილი მთები მზიანი,
ხამისპვრანგა ბიჭის ოცნება,
ნამგლის წკრილი, ყანის შრიალი...
წიგნი კი არა, მიმოფანტული
კაბადონებზე სხივთა მარმაში,
სიტყვა ქართული, სული ქართული
ჩართული დედის იავნანაში.
ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული;
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,
გულში გაკლია ცეცხლი ქართული.
ჩვენ კარგად ვიცით აზრი ხალასი,
რაც გვიანდერდა წიგნმა ნათელმა:
თუ დედაენით შეიღებს არა ზრდი,
თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.
ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,
განა სიტყვები?... ნატრის თვლებია.
თუ დაივიწყე ენა ქართული,
მაშ, საქართველო დაგვიწყებია...
ვინა სთქვა, ვითომ ბუდმა დაგვიცინა,
ქე არ გადირსა, როგორც ილიას,
ვისაც მამულის მადლი აცხია
შენი ქე არის, შენი შეილია.
განა რა ძალით დაიკვეცება
ან ეს ტრამალი, ან ეს ჩვენი ცა...
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა
შრიალი შენი „დედაენისა“.

იოსებ ნონეშვილი



ბერძნულ-რომაული ჰიკაობა ჩემპიონები და პრისიორები რუსთავეის რესპუბლიკში ტურნირიდან

2-34 აპრილს ქალაქ რუსთავეში ჩატარდა
ბერძნულ-რომაულ ჰიკაობაში მსოფლიო
ჩემპიონ თემურ ყაზარაშვილის მწვრთ-
ნელის ომარ გუგუშაშვილის სახელო-
ბის რესპუბლიკური ტურნირი ჰიკაობის
ამავე სახეობაში. ასპარეზობაში მონაწი-
ლეობდნენ ქვეყნის სხვადასხვა მუნიცი-
პალიტეტებსა და ქალაქების 2007-2008
წლებში დაბადებული ამ სტილის 150-მდე
მოჭიდავე. მ.შ. ააპი „საგარეჯოს მუნიცი-
პალიტეტის სპორტული გაერთიანების“
მწვრთნელ თამაზ ყიფიანის აღსაზრდელე-
ბი. ორი ოქროს, სამი ვერცხლის და ორიც
ბრინჯაოს მედალი, ასეთია ყიფიანის აღ-
საზრდელთა საერთო შედეგი ამ ას-
პარეზობიდან.

საგარეჯოელი „კლასიკოსებიდან“
პირველი ოქრო და ჩემპიონის წოდება
მოიპოვა **ლუბა თეაიაშვილი**, რომელიც
32 კგ წონით კატეგორიაში ჰიკაობდა. მეორე
მსგავსი ჯილდოს მფლობელი გახდა,
ასევე, საგარეჯოელი **ლუბა მარტიაშვილი**.
მან ოქროს მედალი და ჩემპიონის წოდება
თანაგუნდელ მანაველ **ბეჟა ჟიბლაშ-
თან** 68 კგ წონით კატეგორიაში ფინალურ
შესხვედრაში გამარჯვებით მოიპოვა. გელა
წიკლაური კი ვერცხლის მედალს დას-
ჯერდა.

ვერცხლის მედლით დაგვიბრუნ-
და რუსთაველიდან მანაველი **რომიკო
ოზბაღაშვილი**, რომელმაც ვერცხლის
მედლით დაიმშვენა მკერდი ასევე მანაველ-
მა შოთიკო ტაბატაძემ (75კგ).

ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპო-
ვა 68 კგ წონით კატეგორიაში მოას-
პარეზე თოხლიაურელმა **საბა ტაბატაძემ**.
ტურნირის მესამე პრიზორი გახდა მისი
თანაგუნდელი, 75 კგ წონით კატეგორიაში
მოასპარეზე **გიორგი შარაშვილი**.

წარმატებები ვუსურვოთ თამაზ ყიფი-
ანსა და მის აღსაზრდელებს მომავალ-
შიც, რომლებიც არ შეუშინდნენ მსოფლიო
პანდემიის საშიშროებას და ღირსეულად
დაიკვეს მუნიციპალიტეტის სპორტული
პრესტიჟი ამ შეჯიბრებაში.

გივი ლაბაძეშვილი

კულტურული მემკვიდრეობა – ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი უჯარმა-მუზეუმი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინციტირება და ფინანსური მხარდაჭერით უჯარმის ციხე-ქალაქის კომპლექსში ფართომასშტაბიანი საკონსტრუქციო-საკონსერვაციო სამუშაოების პროცესი დაიწყო.

რეაბილიტაციის I ეტაპი ხანძარში დაზარალებული ნაგებობების მონაწილეობის კონსერვაციასა და ინფრასტრუქტურული კვანძების მოწყობას მოიცავს. გალავნის შიდა და მიმდებარე სივრცეებში ბრუნდის მოხსნის პროცესი მუდმივად არქეოლოგიური ზედამხედველობის ქვეშ წარმართულია, რაც კულტურული მემკვიდრეობის კვლევით კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას გამოიწვევს.

ციხე-ქალაქი, სადაც გალავნის რამდენიმე მონაკვეთი მნიშვნელოვნად აღმოჩენილია, ხოლო რამდენიმე მონაკვეთი კი მთლიანად აღმოჩენილია, ძალიან ხარკობის მოწყობისა და სათანადო შუამუშავების გაკეთების გზით, გეოლოგიურად გამოიკვლივა. ამგვარი არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გეოლოგიური კვლევის საფუძველზე არქიტექტურ-რესტავრაციის მიერ ერთობლივად განისაზღვრება მდგომარეობის საინჟინერო-კონსტრუქციული გადაწყვეტა და კომპლექსში მემკვიდრეობის დაზიანებული ნაგებობების რესტავრაციო-კონსერვაციის მეთოდოლოგია.

არქიტექტურული სივრცეების რეაბილიტაცია და საკონსერვაციო სამუშაოების შემდეგ, ციხე-ქალაქის ცენტრში მონაკვეთის მონაკვეთები და დაზარალებული ნაგებობები დაგეგმილად აღმოჩენილი სივრცეებში კი ლითონის საფუძვლები და ფლეთილი მისი ბილიკები მოწყობა, რომელთა აკრამიტაცია საკონსერვაციო პროცესის მიმდინარეობისას პროექტის ამტორების მიერ განისაზღვრება. ციხე-ქალაქი

ის ინტეგრირებულია მიმდებარე ტერიტორია ველური ხის მასივებთან გაიკავება, რაც მიზნობრივად უჯარმის კომპლექსის სივრცეში აღმართული მემკვიდრეობის მისცემს.

ციხე-ქალაქის საკონსერვაციო-საკონსერვაციო პროექტი საფუძვლად დაედო ის საპროექტო 2022 წლისთვის დასრულდება. შ.პ.ს. „იპროტა 2007“-ის მიერ შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე უჯარმის კომპლექსში ფიზიკურ სამუშაოებს შს „ისტორიულ ძეგლთა რეაბილიტაციის ცენტრი“ ახორციელებს.

უჯარმა ისტორიული ცნობების მიხედვით III-IV საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა და იმ დროისთვის მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი ცენტრს წარმოადგენდა. უჯარმის ციხის აღმშენებლობა და განვითარება კირითადად მუშა მასალის გამოყენებით ხდებოდა.

არქიტექტურული კომპლექსი რთულ რელიეფზე 3 კმ. ფართობზეა გაშენებული. ის ორი ძირითადი ნაწილისგან - ციხე-ქალაქისა (ზედა ანუ დედაციხე) და ქვედა ციხისგან შედგება. ციხე-ქალაქი მდებარეობს სანაპიროს სანაპიროს კარს მცირე ეკლესიას, მარანსა და წყალსაცავს ახლოს და ოთხკუთხე მასობრივ კვლავის მქონე გალავნითაა შემოსაზღვრული. გალავნის კედლებზე სიმბოლური ფაქტობრივად განთავსებული სწორკუთხე კომპლექსი. ციხე-ქალაქი კლიმატ დაზიანებული იქნა სანაპირო შემორჩენილი. ქვედა ციხის თითქმის თავდაპირველი, ავთენტური იქნა აქვე შენარჩუნებული.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2018წ



როცა ასეთი სიყვარულია პროფესია, რომელზედაც გვირი ოსნებოდა უჯარმის ილუმინაციისა და ისტორიის უმსჯავლო

ქორბე, მეორე კურსიდან ცხოველი ინტერესი გაუჩნდა დამინში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის - საფუძვლიანად სურდა ქვემო ქართლის დასაბამისეული ცხოველების გაცნობის შესწავლა. აქ იმ დროს მართლაც საინტერესო მუშაობა იყო გაშლილი - ქვედა პალეოლითის ხანის კვლევა მიმდინარეობდა, რასაც სათავეში გერმანელი სპეციალისტები ედგნენ. თუმცა, მსოფლიო დონის სიურპრიზი სწორედ აქ მათთან ერთად უნდა ენახა - 1 მილიონ 700-800 ათასი წლით დათარიღებული... ექსპედიციაში არსებმა 5 წელი იმუშავა. ექსპედიციის ხელმძღვანელის ვახტანგ ჯაფარიძის თვალწინ არსებმა მისთვის საინტერესო ქვემო ქართლის პერიოდი ისე შეისწავლა, რომ ახლა მას შეუმცდარად შეუძლია არქეოლოგიური აღმოჩენის ხანის განსაზღვრა.

შემდეგ შიგ სად არ უნახავს საოცრებები - პირველივე, ახალციხის გათხრებში, მისთვის ასევე საინტერესო იყო არა შენდის ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის ნაკვალევის ნახვა - საკუთარი თვალთ ნახვა მათ მიერ დამუშავებული ქვემი, დანთებული კოცონის ნაკვალევი. დღესაც საოცარი სიხარულითა და სიამაყით იხსენებს „ნაომარ გორაზე“ აღმოჩენებს. დიას, ვამაყება, რომ თავისი მშობლიური მიწა-წყლის უძველესი სამარხები, უამრავი საექსპორტო ნივთები, ათასწლეულებით მტკვრწყაროლი საკუთარი თვალთ ნახა. არც იმ სიხარულს მალავს, რომ „ნაომარ გორასთან“ ახლოს სულ სხვა „ქალაქი“ მიწაში ჩამარხული, რომელიც სპეციალისტებს, ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს ელოდება...

და დღეს, როცა ჩვენი საუბარი რედაქციის ერთ პატარა ოთახში შედგა, ისეთი აღფრთოვანებით მესაუბრება თბილისის უნივერსიტეტის კედლებში ცნობილ აკადემიკოსებთან და პროფესორებთან სწორედ არქეოლოგიურ საკითხებზე საუბრისას მიღებულ და მისგანვე გაცემული, საკუთარი თვალთ ნახვა გათხრების ინფორმაციებს, რომ ვფიქრობ, ამაზე მეტი ბედნიერება რა შეიძლება იყოს, როცა შენი ქვეყნის, შენი ხალხის ისტორია ასე გიყვარდეს და გაინტერესებდეს, საუბარში მისახველებს ჩვენს საერთო ლექსობებს, ვისხენებთ ბუმბუაზ პიროვნებებს და აქვე გული მწყდება - არსებმა ვერ შეძლო ასპირანტურის სწავლის გაგრძელება - ოჯახმა, მაშინდელმა სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა „ჩამოაშორა“ მეცნიერული მოღვაწეობის გაგრძელებას. მაგრამ... მე ასე არ ვთვლი, ჩვენი გაზუთის ძვირფასო მკითხველო და რატომ?

ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემოიარა სამუშაოები, ბოლოს კი 2007 წელს ესპანეთში წავიდა 4 წლით სამუშაოდ - აქედან ბოლო 8 თვე ექსპურსიამდლო იყო. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და 2011 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დაიწყო



მუშაობა მონიტორინგის სპეციალისტად, სადაც 4 წელი იმუშავა. 2015 წლიდან კი არის უჯარმის მუზეუმის არქეოლოგი და მენეჯერი.

საოცარია ამ პოზიციაზე მუშაობა, ხელეობა ტურისტს, უწევს მომსახურებას, ევალუბა ძველის ზედამხედველობა, უწევს იქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების სწორი მიმართულების მიცემა, ამასთან, რაც მთავარია და მეტად საპასუხისმგებლო - არქეოლოგიური გათხრების ზედამხედველობა-კონტროლი. არც ის დაგვაიწყვდეს, რომ კარგად ფლობს რუსულ, ინგლისურ, პოლონურ, ესპანურ, ფრანგურ ენებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ტურისტის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და მისთვის საკმაოდ კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება.


ყველა სათვის კარგადაა ცნობილი, რომ უჯარმის ციხის, მთლიანი კომპლექსის რეაბილიტაცია 2018 წლიდან დაიწყო, - მუშენება საუბარში არსენი. - მანამდე კი აქაურობა ბუქნარით, ჯაფებითა და ხეებით იყო დაფარული. როცა 2014-2015 წელს სწორედ ამ ნარგავებისგან და ნაგვისგან განთავისუფლდა ტერიტორია, უფრო კარგად გამოჩნდა ძველის ისტორიული დირეულება. ამიტომაც 2018 წელს მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო საქმიანობა დაიხსნა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა ტენდერი, სრულად გამოიკვლია სარესტავრაციო საქმიანობა, რასაც პარალელურად მოჰყვა წინასწარი არქეოლოგიური გათხრები. არქეოლოგიურ გათხრებს - აღდგენითი არქიტექტურული სამუშაოები იმ ძეგლების, რისი აღდგენაც შეიძლებოდა. გასუფთავდა და გამოწმინდა ეკლესიის მარჯვენა და მარცხენა მიდამოები, საიდანაც გვირაბი იღებდა სათავეს და ჩაღობდა №5 წყლის კოშკის მიმართულეობით და მისი სიგრძე, სავარაუდოდ 350-400 მეტრი უნდა იყოს. აგრეთვე აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა №1, №2, №3 თავდაცვითი სისტემის კოშკებზე 2020 წელს მიხნად იყო დასახული გაგვესუფთავებინა ერთ-ერთი უდიდესი შენობა, რომელიც წარმოსახვით შუა საუკუნეების დარბაზს ჰგავდა. თუმცა, გათხრების ბოლოს, როგორც აღმოჩნდა, ეს შენობა იყო უდიდესი წყლის მარაგის რეზერვუარი, სადაც უნდა ჩატეულიყო 500 ტონამდე წყალი. ასეთი წყლის სარეზერვო

აუზი კავკასიაში ჯერჯერობით არ არსებობს, რომლის კედლების სიმაღლე 5 მეტრს აღემატება, ნაშენია წითელი, ბრტყელი, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი აგურით, ხოლო შიგნიდან ნაღესია კირისა და დაფქული აგურის ნარევის შერწყმით, რომელიც

ვაქტობრივად წყალგაუმტარი იყო. არხის სამხრეთით არის გამსვლელი მილი, საიდანაც წყალი იცვლებოდა. ამ აღმოჩენამ რეალური ფაქტის წინაშე დაგვაყენა, რომ ეს იყო აუზი და არა სასახლე, რომელსაც კარი არ ჰქონდა.

უჯარმაში შეიძლება სარეაბილიტაციო სამუშაოები კიდევ 2 წელსაც გაგრძელდეს, მიხნადა დასახული 2021 წელს წყლის აუზის მიმდებარე ტერიტორიების შესწავლა და აღდგენითი სამუშაოების გადახედვა.

მართლაც საინტერესო და საამაყოა დღეს ჩვენი მუზეუმი. ამიტომაც არ წყდებოდა გასულ წელს პანდემიის გაციხადამდე აქ ვიზიტორთა ჯგუფები. თბილისთან მუზეუმის სიახლოვე, მისი ხანდაზმული ისტორია, მისი არქიტექტურა, აღდგენითი სამუშაოები ვის არ ანცვიფრებს - ამერიკელებს, ბრილიელებს, ესპანელებს, არგენტინელებს, ნიკარაგუელებს, საერთოდ, ევროპული ქვეყნებიდან ჩამოსვლელთა რიცხვს ხომ ვერ გეტყვით. დღეს იშვიათად, მისი ისტორიით დაინტერესებული ქართველი თუდა შემოსხნის კარს, თუმცა, ყველა მოუთმენლად ველოდებით პანდემიის მშვიდობიანად დასრულებას.





მოქალაქე აყენებს წინადადებას: – სასურველია საბარეჯოს ერთ-ერთ ქუჩას თამაზ ქვლივიძის სახელი ეწოდოს

თამაზ ქვლივიძეს ბავშვობიდან ვიცნობ. თავიდანვე ეტყობოდა, რომ საინტერესო იდეები ჰქონდა. ამასთან ცდილობდა, თავისი გამოგონებები რეალურად ექცია. იყო ნიჭიერი და შრომისმოყვარე, რაც ბოლომდე გაჰყვა მის ცხოვრებას. რაც შეეხება მის შემოქმედებას, ვფიქრობ, რომ აქაც გარკვეული წარმატება აქვს. აღფრთოვანებული ვარ მისი პოეზიით, დასკვნებით სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მევენახეობის განვითარების საქმეში. ვფიქრობ, რომ მისი იდეები გასათვალისწინებელია.

ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ საგარეჯოში ერთ-ერთი ქუჩა „წუთისოფლის წიგნის“ სახელს ატარებს.

ბატონ თამაზს ვუსურვებ ჯანმრთელობას და თავისი საქმიანობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას.

კვლადიშვილ მათიაშვილი,

საგარეჯოს რაიონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

ახალი წიგნები

თამაზ ქვლივიძის „წუთისოფლის წიგნი“



ეს არის ჩემი გამოგონება
ხვალის იმედით რომ მითენდება,
მადლობა უფალს, თუ ეს მიგნება
ოქროს გვირგვინით დაგვირგვინდება!

ამოდრავებს ამ წუთისოფელში და სჯერა, რომ გამრჯე ქართული ხალხი, ბრძენი მმართველობის პირობებში ადვილად შეძლებს მათ წინაშე მდგომი გამოწვევების გამკლავებას – საქართველოს აყვავებასა და აღორძინებას. ამის თაობაზე იგი ასე ალაპარაკებს რუსთაველს:

„ოქროს ხანიდან მოვდივარ შოთა ბეურისა მნახველი,
დიხს, მწაღია მოვითხროთ გმირების საქმე ძირძველი,
შაირებითა გაცნობოთ,
პაპის პაპების ყოველი,
და თამარისა ამბავი, საქმენი გასაკვირველი.
ჩემს დროს ასანთიც არ იყო,
არა თუ ავიაციო, მაგრამ ქართველმა სამშობლო ისეთ ქვეყანად აქცია სულ გააოცა მსოფლიოს სხვადასხვა მსგავსი ნაციო იმგვარად, რომა ეპოქა უჭკნობად გადააქცია...“

თამაზ ქვლივიძისათვის საბავშვო და მინაბავშვო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საქმენი, მითი ოქროს ხანის დროინდელი საქართველო. ამ დღეების დასაფასებლად იგი „გაბაასებაში“ აყენებს წინადადებას.

მისი აზრით, დავით აღმაშენებლის დედაწლის უკვდავსაყოფად და პოპულარიზაციისათვის თბილისში უნდა აღიმართოს მისი 36 საფეხურიანი მემორიალი, რომლის თითოეულ საფეხურზე ამოტვიფრული იქნება მეფობის თითოეულ წელს მიღწეული დიდი გამარჯვებები. პოემაში ავტორი ასევე გვთავაზობს საკუთარ ორიგინალურ იდეებს ქვეყნის მევენახეობის ახლებურად მოწყობის, სოფლის მეურნეობის აღორძინების, გლეხებისა და ფერმერებისათვის ხელშემწყობი აღორძინების ღონისძიებების გატარების, მცირე და მიკროსამაგისტრო საქმიანობის განვითარების შექმნის, უმუშევრობისა და სიღატაკის დაძლევის და სხვა საკითხთა შესახებ, რაც ნამდვილად და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანს, დაინტერესებს ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღის მოჭირნახულე მკითხველს.

თამაზ ქვლივიძის „წუთისოფლის წიგნის“ ეს მოკლე მიმოხილვა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მის მიერ წიგნში გატარებული დედა-აზრი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ აქვე არ მოვიყვანთ ავტორის ბოლო სიტყვაში გამოტანილ სტრუქტურებს.

„აი ამ წიგნით ვაქვეყნებ საშვილიშვილო წერილსა, ტანჯვა-წამებით შექმნილსა, არვისგან გადაწერილსა, წუთისოფლისა წლებიდან ნაწითობად ამოწერილსა მწადის შევეწვრო ჯიღლოსაც, ხალხისგან გამოწერილსა“.

მდიდარი რესურსების აშშ-ს 21 შტატში ნანახი და უღარიბესი რესურსების ისრაელის გამოცდილება მაბედვინებს და მაგაღებულებს კიდევ საქართველოს სწრაფად განვითარების მიზნით, თავს უფლება მივცე დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ანტისთენის შთამაგონებლად ნათქვამ სიტყვებს „სახელმწიფოები იღუპებიან მაშინ, როცა კარგს ვერ არჩევენ ცუდისგან“ დავამატო ფრაზა – ქვეყნები წარმატებულად ვითარდებიან გაბედული იდეების და გამოგონებების წყალობით, მიუხედავად იმისა, მდიდარი რესურსების პატრონია თუ უღარიბესი...“

„მჯერა ხე ფრაზა გახდება ხვალისა მანათობელი, რადგანაც ვარ ბუნებით ახლისა ამომცნობელი, ისიცა ვიცი დასტყვევთ, ჭირია დასადნობელი! გამოგონებით ყაბირიც გახვადით მოსავლიანი, ახალგაზრდობა უებრო და არამც თვალცრემლიანი, ყოველი კუთხე ქვეყნისა, უხვი, სვიანი, მთლიანი, დაკინებული სამშობლო – მაღალი, გაველენიანი!“

დმერთმა უსმინოს და ხელი მოუშაროს ამ საქმეში ჩვენი გულმხურვალე საგარეჯოელ მამულიშვილს.

ლამარა ბილქოძე

საგარეჯოს საპატრიო მოქალაქე; საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ყოფილი გამგე

წიგნი იყიდა მაღაზია „ბიბლუსში“

რაც ღაზიყებით არ იბინდება ქალი, რომელიც უდიდესი დოზით იყო ენის, გაგუ- ლის, სარწმუნოების სიყვარული 12 აპრილს მეღვა მემორიალის დაბადების დღეა!



ღვან სანიკიძის ისტორიულ-ლიტერატურულ წიგნში „რწმუნა-რწმუნისა“ საგარეჯოს 70-80-იანი წლების კ პრაიკომის მდივანი **მეღვა მემორიალის** ამბობს: „მე ვინც მიყვარს და ვისაც სიცოცხლეს ვწირავ, ნება არ მაქვს მისგან საბასუხო სიყვარული გამოეთხოვო“.

„ჭეშმარიტად – ისევ შენ ხარ, საქართველო, ამ უმადლესად უანგარო ტრფობისა და შეწირვის საგანი“

მოდის მისის თვე, მოჰყვება ვარდობისა და გარეჯობის დღესასწაულიც!
ბარეჯო საპატრიოლი!

ქნი მეღვა, ნეტავი შეიძლებოდას ზეციური სამყაროდან ბუნდოვნობაში გადასული გარეჯის საქმე, ისევ თქვენ მოაგვაროთ, ბოლომდე მიიყვანოთ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან და იქნებ მასზე ადრეც დაწვებულნი დავა, სახეში კიდევ ერთხელ შემოულაწუნოთ საქართველოს დამაქცეველებს, მის გამყიდველებს...

თქვენ შეუძლებელი შექმელით, ააღორძინეთ გარეჯი, თქვენ დააარსეთ სოფელი უდაბნო, ქართული სული შთაბერეთ სოფელს. მოწვეულ სტუმრებს, გარეჯობის მოხეიძეებს ქართული ღამაზე კალიგრაფიით დაწერილი ვაჟას სიტყვები – „დმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“ ხვდებოდა ათას ჭირნახულ, ბერების სოფლითა და სისხლით გაპოხიერებულ გარეჯის მიწაზე...“


მადლობელია ბევრი გარეჯელი, ქართველი, თქვენ „ჟამთა სიავის ნასუფრადი ნასამხრადად რომ არ აქციეთ“...

მოგონებები უსახვდროა თქვენი ადამიანური, ქართული, მართლმადიდებლური სულისკვეთებით გაკეთებული საქმეების: საქართველოსთვის, კახეთისთვის და საგარეჯოსთვის.

გავისხუნოთ გიორგი ლეონიძის სიტყვები: „პოეტები მხოლოდ რთიმებით მოლაპარაკენი როდი არიანო, პოეტები თვალთ, პოეტები გულით და დიდი ოცნებით გასხვიონსებული სხვაც ბევრი დიდის ქვეყანახელო“.

ესეც თქვენ გაკუთვინთ ქნი მეღვა! გვაქვს იმედი, რომ ვისაც ხელეწიფება და წინაბრებს მარტო ტრადიციულად კი არ გავისხუნებთ სადღეგრძელოთი – საგარეჯოში, რომელიმე ქუჩას და კიდევ – დღესაც თქვენს „პირმშოდ“ რომ მოიხსენიებს საგარეჯო – ქალაქის IV საჯარო სკოლას დაერქმევა თქვენი სახელი, მოეწეობა თქვენი სახელობის სახლ-მუზეუმი. ვიმედოვნებთ, დადგება დრო ფასეულობათა ხელახალი, ჭეშმარიტად გადაფასებისა და ყველაფრისათვის შესაფერისი სახელის დარქმევის მოგვარების.

თინა ბეჭინაშვილი,
თინა ილაური



მოღვაწეობამ საქართველოს მაშინდელ პირველ პირთან ედუარდ შევარდნაძესთან. წიგნის 71-ე გვერდიდან პოემას „მადლიანი“ მკითხველი თამაზ ქვლივიძის პოეტურ სამყაროში გადაჰყავს. ესაა მარად უკვდავი რუსთაველისა და არანაკლებ სახელგანთქანი, უდიდესი ეროვნული ღირებულების მქონე ქართული ვაზის „საუბარი“, რასაც ავტორი იყენებს ქართველი კაცისა და ზოგადად, ჩვენი ერის „მუხთალი წუთისოფლის“ ყოფის შეცვლის თაობაზე თავისი აზრების გადმოსაცემად.

„ცოცხალი ხარ, დიდო ბრძენო,
მოსახლო და მჭკვერთმეტყველო,
უნდა აგვეყვარ დავეცუო,
ფონს გავიდეთ, რუსთაველო,
სასიკეთოს კვლავაც დავეძენ,
ჩემო ერო ბრძენმეტყველო –
ედემის ბაღს დავამსგავსოთ,
საყვარელი საქართველო –
ედემს ოდეს რომ ემსგავსოს
საქართველო ძველთაძველი,
განადიდეთ კაცის ნიჭი დვითთ
ნაბობი, უმურველი,
დაამკვიდრეთ ერთგულება
წინაპრული, უძლეველი,
აირნიეთ დავითის გზა აწ და მარად
საკვირველი.“

(ავტორის სტილი და პუნქტუაცია აქაც და შემოღობაც დაცულია)

აი, მიხნები და უმთავრესი ამოცანა, რაც ამ სტრუქტურების ავტორს ამოდრავდა და

რედაქტორი - რედაქცი ქმები ჯაბაღრიძე - ქართული კულ- ტურის საბარეოელი მოამბენი



ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯაბაღრიძის ოჯახს ბედმა მეტად მწარე ხვედრი - მშობლიური საგარეოდან მოწყვეტა და უცხოეთის მიწაზე აღსასრული არგუნა. ექვსი ვაჟიშვილიდან ალექსანდრე ჯაბაღარიძე 1902 წელს ჯერ უფროსი ვაჟები, გიორგი და ერეკლე გააგზავნა ბელგიაში, ბრიუსელის კონსერვატორიაში სასწავლებლად, ხოლო 1904 წელს მათ გზას უმცროსი შვილები - ვახტანგი, ილია, შალვა და შოთაღ გაუყენა და თან გააყოლა თავისი მეუღლე შაშიანელი რცხილაძეების ქალი - მანანა. ბელგიაში ბრწყინვალე მუსიკალური განათლების მიღების შემდეგ ისინი კვლავ უცხოეთში დარჩნენ და მთელი თავიანთი ცხოვრება ქართული კულტურის განვითარებასა და მსოფლიოში მისი პოპულარიზაციის საქმეს შესწირეს.

უფროსი შვილი ბიორბი 1920-იან წლებში დაბრუნდა საქართველოში და შექმნა პირველი თეატრალური სტუდია, რომელიც ჯაბაღარიძის სტუდიის სახელთაა ცნობილი. ერეკლე ცნობილი კომპოზიტორი გახდა. მან განათლება მიიღო ჯერ ბრიუსელში, შემდეგ კი ვენაში, სადაც სწავლობდა ცნობილ პროფესორებთან პიობერგერთან და ვოლფგენგთან. 1913 წელს ვენაში გაიმართა მისი პირველი კონცერტი, სადაც წარდგინილი იყო მისი პირველი ნაწარმოები „ქართული რაფსოდია“. ამ რაფსოდიაში, შემდეგ ოპერა „გულნარა“, რომანსები „სული ბოროლი“, „მერანი“ და სხვა ნაწარმოებები მოჰყვა. მასვე ეკუთვნის მუსიკა „თბილისიანა“, „დეკური“, „მაზურკა“ ცეკვებისთვის, რომლის გამოყენებას აპირებდა ცეკვის წარმოშობის ისტორიისათვის მიძღვნილ თავის ფილმში, მისი ძმა ილია ჯაბაღარიძე, თუმცა მან ვერ შეძლო ამ ფილმის გადაღება. ქართული მუსიკის წინაშე დამსახურებული და საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელგანთქმული მუსიკოსი გარდაიცვალა 1937 წლის 18 აგვისტოს ვენაში. ამგებმა შოთამ და ილიამ მოგვიანებით დიდი კომპოზიტორის აუსრულეს ანდერძი და 1977 წელს მისი ნეშტი ვენიდან თბილისის დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს, მისი ნაწარმოებები კი ქართველ ხალხს გააცნეს და ქართული მუსიკალური კულტურის საგანძურში მიუჩინეს ბინა. ასევე, მისი სახელი მიეკუთვნა საგარეო საბჭოთაო სასწავლებელს. მძებში ყველაზე უმცროსი შოთა ჯაბაღარიძე - ცნობილი ვიოლონცისტი და კომპოზიტორი გახდა, რომელმაც არაერთხელ უდიდესი საქართველოში თავისი ძმის ერეკლე ჯაბაღარიძის ნაწარმოებების შესრულება.

ილია ჯაბაღარიძე ალექსანდრე ჯაბაღარიძის რიგით მეოთხე ვაჟი იყო. მან, როგორც ცნობილი იმპრესარიო დიდად გაითქვა სახელი არა მარტო საფრანგეთში, სადაც ის ცხოვრობდა, არამედ მთელს ევროპაშიც. მიუხედავად იმისა, რომ იგი სამშობლოს იყო მოწყვეტილი, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ევროპასა და მსოფლიოში ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეაღია. ამ კუთხით განვლილი ცხოვრების შესახებ იგი თავის მოგონებებში ასე იხსენებს: „ომამდე (II მსოფლიო) კინორეჟისორობამ გამოიტაცა, ვგზამდი პატიარა, გასართობი სახიათის ფილმებს. მსოფლიოში ცნობილი კომიკოსმა ფერნანდელმა პირველად ჩემს ოთხ ფილმში ითამაშა, შემდეგ კი სხვა რეჟისორებმა მიიწვიეს. როდესაც გერმანიამ საფრანგეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი, საფრანგეთის მთავრობამ დამავალა ანტიფაშისტური ფილმის შექმნა. სამწუხაროდ, მთელი ჩემი ფირები და მასალები გერმანელთა ხელში აღმოჩნდა. თვითონ მე, რაღაც საოცრების ძალით გადავრჩი. ასე დამთავრდა ჩემი „რეჟისორ ბაკურციხელის (ჩემი ფსევდონიმი) კარიერა. ომის შემდეგ ჩამოვაყალიბე ქართული ცეკვის ანსამბლი. ანსამბლის წევრები მოყვარულები იყვნენ, მაგრამ დიდი მოწონებით სარგებლობდნენ საფრანგეთში. ასე, მაგალითად, უდიდეს კინოთეატრ „გომონში“, სადაც 5000 მაყურებელი ეტევა, ექვსი კვირის განმავლობაში გამოვდიოდით დღეში ორჯერ, ხანდახან სამჯერაც. უნდა გითხრათ, ცეკვა, მისი ბუნება, მე თავიდანვე მაინტერესებდა. თავის დროზე ჩაფიქრებული მქონდა ფილმი ცეკვის წარმოშობის შესახებ. ერეკლემ (ძმა ერეკლე ჯაბაღარიძე) ამ ფილმისათვის დამიწერა მუსიკა „თბილისიანა“, „დეკური“, „ნაფილი“, „ბოლერო“, „მაზურკა“. სამწუხაროდ, მას განხორციელება არ ეწერა. დღეისთვის ჩემი ერთადერთი მიზანია მსოფლიოს გავაცნო

ქართული ხელოვნება. საამისოდ გადავდე კიდევ ნაბიჯები, რამდენჯერმე წავიყვანე გასტროლებზე ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ახლაც ვაწარმოებ მოლაპარაკებას მის ესპანეთში მიწვევაზე, ბალეტის საერთაშორისო ფესტივალზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი იმპრესარიო მეც გახლავართ. პარიზის საერთაშორისო ფესტივალზე წავყვანილი მყავდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი. კიდევ ბევრი განზრახვა მაქვს, მაგრამ მათზე უმჯობესია განხორციელების შემდეგ ვილაპარაკო.

„ილია ჯაბაღარიძე ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში. თავის მრავალმხრივ საინტერესო საქმიანობასთან ერთად დიდ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი მთავარი საზრუნავი, როგორც ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ისე საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ურთიერთგაცნობა-დაახლოებაა. ილია ჯაბაღარიძე არის ჩვენი ქვეყნის უანგარო მეგობარი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ არ განხორციელებულა რაიმე კულტურული ღონისძიება, სადაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ილია ჯაბაღარიძის - ასე ვერ და ილია ჯაბაღარიძის შესახებ საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის დირექტორი ვახტანგ გურგენიძე 1982 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში.

ილია ჯაბაღარიძე დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთში მცხოვრებ ქართველებში ქართული სულის გაღვივების, ქართული ენის შესწავლისა და ჩვენი კულტურის გათვითცნობიერების საქმეში, რისთვისაც იგი მუდამ მხარში ედგა ჩვენს იქაურ თანამემამულეებს მორალურად და მატერიალურად. 1979 წელს თურქეთის ქართველების თავკაცი ასმედ მელაშვილი ილია ჯაბაღარიძის წერს, რომ ბურსას ვილაიეთის სოფელ ხეირიეში ქართველი ახალგაზრდებისათვის აშენებენ კულტურის სახლს და წინასწარ დაიმედებული სთხოვს მას რჩევასა და დახმარებას. ვერ ილთაა ერთად ილია ჯაბაღარიძის უგზავნის თხოვნას, რომ მათი ეს წამოწყება გააცნოს საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებს. მისი აზრით, სხვა ქვეყნების ქართველებთან კონტაქტი მათ დაეხმარებათ ქართული ენის უკეთ შესწავლის საქმეში, რომელიც არც მან და არც სხვა თურქმა ქართველებმა იმჟამად კარგად არ იცოდნენ. ასმედ მელაშვილიდან 15 წლიანი მეგობრობის მანძილზე ილია ჯაბაღარიძე მისი მეშვეობით დიდი დახმარება გაუწია იქაურ ქართველებს, როგორც აღნიშნული კულტურის სახლის მშენებლობაში, ისე ქართული სახელმძღვანელოების, ქართული ანსამბლის მომზადებისა და დამწერლობის შესწავლის საქმეში. რამდენჯერმე ჰყავდა თურქეთში ჩაყვანილი რუსთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რათა უფრო მეტად გაეღვივებინა მათში ინტერესი ქართული კულტურის ცეკვებისა და სიმღერების მიმართ. ამ მიზნით მისი ხელშეწყობით თბილისში სამ თვეს იმყოფებოდა სამი ახალგაზრდა, რომლებმაც ისწავლეს ქართული ცეკვები ახლადაშენებულ კულტურის სახლში დასანერგად.

ასეთი დახმარების გარდა, 1965 წელს აგვისტოში ილია ჯაბაღარიძე პირადადაც ესტუმრა თურქ ქართველებს სტამბულში. იქ მას და მის მეუღლეს დახვდნენ ასმედ მელაშვილი თავის ცოლის ბიძასთან, ბეი ჯაფარიძესთან ერთად, რომელმაც თავის ოჯახში მიიპატიოა საპატიო სტუმრები. ოჯახში მიპატივებისას მან სტუმრებს გააცნო თავისი მამა და და, რომელიც მძებთან შედარებით უკეთესად ლაპარაკობდა ქართულად.

თურქეთში თავისი ეს ვიზიტი ილია ჯაბაღარიძე აღწერილი აქვს თავის წერილში „ჩემი ხანმოკლე მოგზაურობა თურქეთში“. როგორც იგი წერს, თურქეთში მცხოვრები ქართველები ქართველს და საქართველოს არ ხმარობენ საუბარში. იქ ქართველებს გურჯებად მოიხსენიებენ, ხოლო ურთიერთს ჩვენებურს ეძახიან. თურქეთში ჩასულმა

ქართველმა სხვა ენაც რომ არ იცოდეს, საკმარისია დაიძახო „აქ ჩვენებური თუ არის ვინმე“ იმწამსვე გამოეხმაურებიან ქართველები.

თურქეთში ჩასულმა ილია ჯაბაღარიძე გამოარკვია, რომ თურქეთის სამხატვრო აკადემიის სარდალი ქართველი ყოფილა, 1924-27 წლებში ფინანსთა მინისტრი ბათუმელი ჯაბანაშვილი იყო.

სტამბულში ბოლი დღის ყოფნის დროს იგი ასმედ მელაშვილთან ერთად იმყოფებოდა ქალაქ იალოვაში, სადაც 1000-მდე ქართველი ცხოვრობდა. იქაც საკუთარი მანქანით დაუხვდა სამხედრო ინჟინერი ისმეტ ბეი. იგი ქუთაისელი ჯაფარიძეების ჩამომავალი ყოფილა. ისმეტ ბეის ოჯახის წევრებს უჭირდათ ქართულად ლაპარაკი.

ქ. იალოვადან მასპინძელმა საპატიო სტუმარი ბურსაში გადაიპატიოა, სადაც ილია ჯაბაღარიძე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდნენ „ჩვენებურები“. ამ ქალაქში იმჟამად 20 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობდა. აქვე შეიტყო ილია ჯაბაღარიძე, რომ თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარედ მაშინ ქართველი ფუად სირმენი იყო, ასევე თურქეთის გზებისა და ხიდების გენერალური დირექტორი სერვეთ ბაირამ ოღლი და სხვები. ისმეტ ბეი ჯაფარიძემ ილია ჯაბაღარიძე ასევე ამოგზავრა ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა სოფლებში: ხეირიეში, ხიმლიეში, ალამ ჩაქთიში, არმუდალანში, ქ. ბალისკერში.

საინტერესოა სიტყვა, რომელიც ილია ჯაბაღარიძე წარმოთქვა სოფელ ხეირიეში იქაური ქართველებთან გაოთხოვების დროს: „ამებო, მე სულთა და გულით მიინდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ ჯერ კიდევ სხვა ჩვენებურებს უნდა ვეწვიო. მადლობელი ვარ სტუმართმოყვარეობისთვის და მისთვის, რომ ასე ვაუკაცურად შეგინახიათ ქართული ადათები, ქართული ენა, სამშობლოს სიყვარული. იცოდეთ, რომ ქართველ ერს ბევრი ვარამი გადაუტანია, მაგრამ ჩვენ სულით ძლიერები ვართ. ზოგი ერი დედამწვის ზურგიდან გაქრა, ჩვენ კი ვარსებობთ, მოვლნიერდით, გავნათლდით და თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები ოდესმე დაუბრუნდებიან სამშობლოს, ჩვენზე ძლიერი ერი, სულით, ჭკუით, გულადობით ქვეყანაზე არ იქნება. მე მიინდა ყველა თქვენთაგანი გადავკაცო, მაგრამ ბევრნი ხართ და ეკოცო თქვენს მუხტარს (სოფლის ქართველი თავკაცი, ასმედ მელაშვილის სიმამრი) და მისი კოცნა თქვენც არის“.

ილია ჯაბაღარიძე დრმა მოხუცებულობის დროსაც (1982 წ. იგი 85 წლის იყო) არ ივიწყებდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის შეყვარებინა თავიანთი სამშობლო, წარმოადგენა შექმნა ქართველ ხალხზე, მის ისტორიაზე, კულტურაზე. ი. ჯაბაღარიძე ამ მიზნით საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გარდა, თურქეთში ქართველი სპორტსმენებიც ამოგზავრა. იმ დროს, ათეულობით წლების მანძილზე თურქეთში იგზავნებოდა ქართველი ანსამბლები, ქართული სპორტსმენები, ქართული წიგნები. ეს ჯაბაღარიძის დიდი დედაწლის შედეგი იყო. მისი დამსახურებით ასმედ მელაშვილმა აღწერა თურქეთში მცხოვრები ქართველების ისტორია, ყოფაცხოვრება, ფოლკლორი, გვარ-სახელები, შემორჩენილი ქართული ლოცვები, ქართული ეკრძები, შიდა საქმიანობა, რელიგიური რიტუალები და ა.შ.

მისი უშუალო ხელშეწყობითა და დახმარებით აშენდა ბურსას ვილაიეთის რ. ხეირიეს ქართული კლუბი. ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიტანო რამდენიმე ამონაწერს მისი წერილიდან: „ოსმალეთის ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა, ადათები, ცეკვები და სიმღერები. ახალგაზრდობა გადავარგების გზას ადგია. ქართული გრძობის გასაღებებლად ერთმა

ემაწვილმა (ასმედ მელაშვილი) შეადგინა მოცეკვავეთა ჯგუფი და მთხოვა დარიგება ტანსაცმელზე ცეკვაზე და სხვა. შორიდან, რაც შემიძლია, მივაწოდე... მთხოვენ იქ წასვლას და ადგილზე დახმარებას. ამ მძებს უნდა მივხედო და დავეხმარო წმინდა პატრიოტის მიზნით. თუ მედირსა მომავალ წელს იქ წასვლა, ვფიქრობ, გადავიდოთ სურათები, ჩაიწერო სიმღერები და მათი ცეკვები შევისწავლო. მგონია, ალბათ მათ შერჩათ ის, რაც ჩვენში უკვე მივიწყებულია... მათში ქართული სული ტრიალებს, ძველი ქართული ენა, ზნე-ჩვეულები, სატემელები სულ შერჩენილი აქვთ, აგრეთვე ცეკვა-სიმღერები და სხვა... ამ ყველაფრის აღსაწერად და გადასაღებად ამ ასმედ მელაშვილს მაგნიტოფონი და ფილმის გადასაღები აპარატურაც კი შეუძინა. ი. ჯაბაღარიძის სახელთანაა დაკავშირებული სტამბულში სუხიშვილების სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის გასტროლები, რომლის მსგავსი დახვედრა და ოცადები ამ ანსამბლს პარიზშიც არ ჰქონია. „აქაური ქართველები სულთა გამოგრდნენ. შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდანაც მოდიან, ზოგიერთი სამჯერ-ოთხჯერ ესწრება ამ კონცერტს. მე მგონია, „ჩვენებური“ ქართველობა გავაცოცხლე. გახეთები ისეთ ქებას და ისეთ ლამაზად სწერენ, რომ პარიზში მსგავსი რამ არ წამიკითხავს...“ - წერდა იგი.

როგორც ვხედავთ, ყველაგან და ყოველთვის ილია ჯაბაღარიძის ცხოვრების უმთავრესი მიზანი ერთია, - საქართველო და ქართველი ხალხის კეთილდღეობა, საზღვარგარეთ და თურქეთში მცხოვრები მილიონობით „გურჯების“ გათვითცნობიერება. ფასდაუდებელია ის არქივი და მასში დაცული მასალები, რაც ილია ჯაბაღარიძე ქართული ლიტერატურა ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის არქივს გადმოუგზავნა პარიზიდან, მის მიერ ამ კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

ილია ჯაბაღარიძე გასული საუკუნის 50-90-იან წლებში ოთხჯერ ესტუმრა საქართველოს და თავის მშობლიურ საგარეჯოს. საპატიო თანამემამულეს გულმხურვალე შეხვედრა მოუწვეს საგარეჯოელმა 1964 წელს, როცა იგი საგარეჯოში იმყოფებოდა და კულტურის სარაიონო სახლში შესანიშნავი კონცერტიც გამართეს. ამ შეხვედრით ჩვენი ქვეყნის წინსვლითა და შეძლებული ცხოვრებით კმაყოფილი დარჩნა, მიინახულა თავისი მამა-პაპის ფუქე, - ჯაბაღარიძე უბანი წინაპართა საძეაღეღეთისმშობის სახელობის ეკლესია. ილია ჯაბაღარიძე მჭიდრო კავშირი და აქტიური მიწერ-მოწერა ჰქონდა საგარეჯოელ ნათესავებთან.

დედასამშობლოს მოწყვეტილი და საზღვარგარეთის ქვეყნებში გადახვეწილ ქართველებში ქართული კულტურის დიდი პოპულარიზატორი ილია ჯაბაღარიძე გარდაიცვალა 1982 წლის აგვისტოში და დაკრძალულია პარიზში პერ-ლასკის სასაფლაოზე.

სხვადასხვა მასალებზე დაყრდნობით მოამზადა

ბიძი ლაპახიშვილი


უჩინარად გარდასულები ჩვენს გვერდით უემოქმედი იყო ერთ-ერთი ბაკაჯალთაბანი



სულიკო ხატიაშვილი ძირითადი გვარის წარმომადგენელი, რომლის სახელიც მისმა შემოქმედებამ გარეჯელებს საამაოდ შემოგვინახა, სულ ახლახანს 2018 წლის 26 მარტს იმქვეყნიურ სამყაროს შეუერთდა. 1929 წელს დაბადებულს მთელი არსებით უყვარდა საქართველო, ყოველგვარი ქართული, ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი. დიდი რუღუნებით და მოწიწებით ჰკიდებდა ხელს იმ საქმეს, რომელიც ჩვენს მომავალ თაობებს საამაოდ და სამაგალითოდ გამოადგება.

თბილისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა რუსეთში ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის დაუსრულებელი სწავლების განყოფილებაზე განაგრძო. ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად უფროს მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე. მხოლოდ თანამშრომლებმა იცოდნენ სიყვარულით ათრთოლებული ხელებით როგორ ეხებოდა თითოეულ ექსპონატს. დამეთანხმებით, ცოტა არ არის 33 წელი ემსახურო ერთსა და იმავე საქმეს. ყოველ სამუშაო დღეს 100 კილომეტრის გაგლა-გამოვლისას ისევ შენს საყვარელ საქმეზე ფიქრობდე.


რესტავრატორი ვერ იქნები, თუ არ იცნობ ნივთის, იგივე შედევრის წარმომავლობას, იმ ქმნილებისას, რომელსაც ხელს ჰკიდებ, რომელსაც პირვანდელი სახე უნდა აღუდგინო, სული დაუბრუნო. საამისოდ კარგად უნდა იცნობდე შენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, ხე-



ლოვნების თითოეული პერიოდის დახასიათებას, უანრს, ავტორს, ავტორის ხასიათებს. თავადაც ქმნიდა ნახატებს თავისთვის, შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, მომავალი თაობებისთვის, რომლებსაც სწორედ ამ ნახატებით უნდა ამოეცნოთ ის პერიოდი, ის უამთა სიავე, რაშიც მხატვარ რესტავრატორს და არა მარტო მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

თავის ქმნილებებს არ ყიდდა... თუმცა მწარედ შეიძლება გახსენება ავადსახსენებელი გარდამავალი პერიოდისა, როცა ოჯახის გასაჭირმა მხატვარი იძულებული გახადა ერთ ტომარა ფქვილში მხედრიონელისათვის ერთ-ერთი თავისი ნამუშევარი გაეცვალა... აი, სწორედ ეს იყო, არის და რჩება ჩვენი, ქართველების დიდ სირცხვილად. ჭეშმარიტად შემოქმედი დღესაც დაუფასებელია (ამის მაგალითი ევროპულისკენ მსწრაფი საქართველოს დღევანდელობაში ისევ დღის წესრიგში დგას. ბუმბერაზი მწერალი, საოცარი პიროვნება გურამ დონანაშვილი აპრილის პირველ დღეებში იმქვეყნიურ სამყაროს შეუერთდა. რაოდენ გულდასაწყვეტია, როცა ისმენ მის ინტერვიუს, სადაც ამბობს: „ძალიან მიჭირდა, როცა კათოლიკოს-პატრიარქის თაოსნობით თბილისში უფასო სასაღილო გაიხსნა. მრცხვენოდა, მაგრამ იქ დავდიოდი“)

სულიკო ხატიაშვილის ნახატებში სწორედ ის სოციალური პრობლემებია წინ წამოწეული, რაც იმ პერიოდში მშრომელ, გამრჯე ადამიანებს აწუხებდა, რაც მომავალზე უარყოფითად იმოქმედებდა. ერთ-ერთ ნახატში მეცხვარეს ცხვარი კლდოვან ადგილას ჰყავს საბალახოდ შეყვანილი. მეცხვარე სადამურზე უკრავს. შვილის შეკითხვაზე, რატომაა ცხვარი კლდოვან ადგილებში საბალახოდ, მხატვარს უთქვამს: შვილო, დღეს ყველა საძოვარი გადახნულია, იქ ხორბალს თესენ, ვენახს აშენებენ. ცხვარი რომ საძოვრის გარეშე რჩება, ამაზე არც არავინ დარდობს და არც ფიქრობს, მეცხვარის გარდა. მეცხვარე ცხვრის ფარ-



ასთან განმარტოებით მყოფი სადამურზე ყოველთვის მწარე ფიქრებს ატანსო. აი, მეორე ნახატზე თივის ზეინწამოკიდებული კაცი, რომელსაც სახე არ უჩანს, და რატომ?! იმიტომ, რომ თივას იპარავს და მაინც რცხვენიაო, რა ქნას, საძოვარი და სათიბი აღარსად დარჩაო. ნახატში ნატურ-მორტი წიწკა ყველაზე დიდი ჩანს. მხატვარმა თურმე ასე ახსნა – ნატურმორტი ხილის ან ბოსტნეულის, თუნდაც ყვავილების,

მილოცვა



ჩვენს უსაყვარლეს მეგობარს, გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქტორს **თინათინ ილაშოს** ვულოცავთ საგარეჯოს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ოჯახთან და მეგობრებთან ერთად


თანაკლასელებისა და მეგობრების სახელით

დალი გუშარიშვილი,
დალი როსტომაშვილი,
სანდრო ერბოჭიანი

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს, ჩვენს გაზეთის უახლოეს მეგობარსა და შვილობილს

მარიამ ძურღოვანიძეს. ვუსურვებთ სიხარულს, წარმატებებს სწავლაში და ბედნიერ ცხოვრებას.

გაზეთი „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია



ყოველთვის ღამაზია, მაგრამ არავინ ფიქრობს და ვერავინ ხედავს შემოქმედის ცხოვრება წიწკასავით რა მწარეაო.

მ ხ ა ტ ვ ა რ - რესტავრატორი ერთხანს საგარეჯოს I საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზვას ასწავლიდა, უყვარდა მოსწავლეებთან ხელოვნებაზე, ხატვაზე საუბარი.


პირადად მე, მას რამდენიმე წლის

წინ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის ეკლესიაში შეეხვდი – ყველასგან განსხვავებული, ინტელიგენტი, შემოქმედი კაცის შთაბეჭდილებას პირველივე ნახვაზე ტოვებდა. რა მოკრძალებით, შიშით, სიყვარულით ჩერდებოდა თითოეულ ხატთან. ასე ჩანდა, მთელი არსებით იყო ხატზე გამოსახულ წმინდანთან გონებრივ საუბარში. მითხრეს – ეს სულიკო ხატიაშვილია-ო. მეტიც აღარ იყო საჭირო. მისი ნახატები მე მის სახლ-

ში ჩემი ბავშვობისას მაქვს ნანახი, შემდეგ სტუდენტობისას – ოლონდ დედამისის – ქნ ნინოს თანდასწრებით – და უფრო მეტი, რომელიც მაშინ დედამისმა მაჩვენა, ხატები იყო. ბ-ნი სულიკო ხატმწერი იყო, ეს გასული საუკუნის 60-70-80-იან წლებზეა საუბარი, როცა ხატის სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა! მისი დაწერილი ხატები ამშვენებდა საგარეჯოს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარსაც და საგარეჯოს დიდო გარეჯელის და სვიმეონ მესვეტის სახელობის ტაძარსაც.

სიცოცხლის ბოლო წლებში აქტიურად ესწრებოდა წირვა-ლოცვებს, ეზიარებოდა, ბოლოს კი, როცა აღარ შეეძლო, მიძღვარი, დეკანოზი მირიანი სახლში იბარება მის აღსარებას. მარტის 26-ში, 2018 წელს საქართველოზე, მის წარსულზე უზომოდ შეყვარებული და საქართველოს აწმყოზე გულნატკენი, მაგრამ ნათელი მომავლის იმედით დაემშვიდობა აქაურ წუთისოფელს და მიღმერთში გადაინაცვლა.

მისმა ნახატებმა კი მის შვილთან – არქეოლოგ და რესტავრატორ არსენ ხატიაშვილის სახლში განაგრძო შემოქმედის სიცოცხლის გაგრძელება.



რედაქტორი:
თინათინ ილაშო

გარეჯის მაცნე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.

ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru